რევაზ
ივანიშვილი

მიჯნა
მიჯნურობისა



ლექსები

UDC (უაკ) 821.353.1–1

ი – 181

«ერთსულ და ერთხორც»

წინამდებარე ლექსების ავტორი ამ რამდენიმე დღის წინ მესტუმრა სახლში, ძღვნად სპარსული პოეზიის დიდებულად გამოცემული ანთოლოგია მომართვა და მთხოვა, ცოტაოდენი დრო მისი პოეზიის საუფლოში გამეტარებინა. ვისხედით აივანზე, იდგა თელ–ავივის წყნარი საღამო და «დღიური პროზით» დაღლილს სასიამოვნოდ ჩამესმოდა ჩემი სტუმრის კეთილი და გაუბზარავი ხმა, მისი ნაუბარი პოეზიასა და ხელოვნებაზე, ბიბლიაზე, ჩვენი ხალხების ისტორიაზე. იგი მდიდარი ბიოგრაფიის კაცია _ ფართო თვალსაწიერით, მრავალმხრივი ინტერესებით. მომხიბლა მისმა სიწრფელემ, რაც ასევე სუფთად და აუმღვრევლად გამოკრთის მისსავე სალექსო სტრიქონებში. მას ერთნაირი სიყვარულით უყვარს საქართველო და ისრაელი, აღმერთებს თბილისს და სადაც არ უნდა იყოს, თავისი წარმოსახვითი ლამპრით დააბიჯებს სიყრმისდროინდელ სანახებში _ ხარფუხისა თუ სირაჯხანის უბნებში, შეღამების მსუბუქი სევდით დაბინდულ ქუჩა–ბანდებში... უშურველია მისი სიყვარული _ ის გულითადობა და ერთგულება, საქართველოსა და ქართული სიტყვის სამსახურში რომ ამჟღავნებს. ქვეყნისა და ხალხის ერთგულებას ხომ ყველაზე მეტად მისი ენის სიყვარული წარმოაჩენს. ეს კაცი კი, საქართველოდან შორს, ასე უანგაროდ ელოლიავება ქართულ სიტყვას...

და კიდევ ერთი: თავისი სიწრფელით და აუმღვრევლობით იგი საოცრად ჰგავს საკუთარ ლექსებს, თითქოს ორივენი _ ლექსიც და ავტორიც «ერთსულ და ერთხორც» არიან შეძერწილები.

სწორედ ეს მსგავსება და გაუბზარაობა ქმნის იმ მთლიანობას, რაც ასე გამოარჩევს ბატონი რაულის ნაღვაწს და ნახელქმნარს...

ჯემალ აჯიაშვილი

თელ–ავივი, 28. 10. 2010

რედაქტორი **დ. ზვიადაძე**

მხატვარი **მ. კუხაშვილი**

კომპიუტერული

უზრუნველყოფა **გ. ჩიქვინიძე**

©; რაული იაკობაშვილი, თბილისი 2010

ISBN 978–9941–0–2904–2

ნატვრა

ო, როგორ მინდა,

თუნაც მციმრედ,

თუნდაც სულ ოდნავ,

მღელვარე განცდებს

შევურჩიო სიტყვის ქსოვილი,

ავამეტყველო ენა წმინდა,

გრძნეული ცოდნა,

ღვთისნიერად

გულს მინდობილი.

მსურს ავაჟღერო სიტყვის ჰანგით

ზეცის ფერწერა,

და,

კაბადონის შარავანდი,

– უფლის ხელწერა,

ელვარე შუქი მოვიზიდო,

გავახმიანო,

და გულისძგერა

ზენაართან გავამთლიანო.

სიტყვათა წყობით მოვიძიო

არსის სათავე,

ხელი შევავლო, მოვიწიო

მადლის სადავე,

ალღოს გიზგიზით გადავწონო

ცივი გონება,

ბგერით ამოვთქვა

ამ საწუთროს ამაოება.

ჩემი თაობის ზღაპარო!

გაბრწყინდა ზეცის ჭალაკი,

ინთება ცისკრის ლამპარი,

და ჩნდება თბილის – ქალაქი,

ტკბილი, ვით დედის ზღაპარი.

მთაწმინდის ამონათება

ნიავს დაუდებს სათავეს,

და ისიც წაცქრიალდება,

ვერ შეიკავებს სადავეს.

ჯერ რუსთაველზე შეიფრენს,

მის წიბო–წიბურს გაჭოლავს,

ააშრიალებს ხეივნებს,

ტკბილი ღიღინით დალოცავს.

მერე მთელ ქალაქს დაუვლის,
ტრფიალით დალევს მანძილებს,
მტკვარს ნარნარ ზვირთებს დაუთვლის,
გაჰყვება კოხტა ნაპირებს.

მეტეხთან ალაგს პოულობს,
სადაც დგას ხუთი საყდარი,
და ხუთი რჯული ლოცულობს,
ქართული ზეცით გამთბარი.

ხუთივეს მოეფერება,
სუყველა თბილისელია,
აქ ქალაქელის წესდება
წმინდა კანონად წერია.

ტკბილი ჰანგებით შემთვრალი,
მტკვარზე დუდუკთან ჩაიფრენს,
ისიც, ტრფიალის მძევალი,
ამ ნიავს სულში ჩაიძვრენს.

და საამური განწყობით
ჰანგს ააკვნესებს გრძნებიანს,
სიყვარულით და ამბორით,
ლექსს დაამღერებს ვნებიანს:

“თბილისო, თბილო ქალაქო,
რა სიყვარული დათესე,
ლამაზო იგავ-არაკო,
რამდენი სითბო დაკვესე.

მზით ნებიერო, კისკასო,
ფიქრი რითმებად გალექსე,
წესთა კრებულში, ძვირფასო,
მადლი კანონად განწესე.

ეს გული, შენით ნაფერი,
მეტეხის კაჟად გაიწრთო,
აჭრა სიკეთის ნათელი,
შენდობის ნიჭით აინთო.

მტკვარზე მტირალა კლდეები,
ზედ ჭრელი ქუჩაბანდები,
ცად ჯადოსნური ფერები,
მიმობნეული ჰანგები.

სულ სხვაა შენი კამარა,
გამჭვირვალე და ფრთოსანი,
ვინც მის ქვეშ დრო გაატარა,
შეიქმნა სულით მგოსანი.

რა სიტყვა აღწერს, რა ქება,
შენს ლამაზმანებს უამრავს,
მათ თვალთა შემონათება
ეშხით რომ შუშხავს გულამბარს.

მტკვარში ღამ-ღამ ცურაობენ
ტრფიალით მთვრალი ღრუბლები,
მათ შორის დანავარდობენ,
მთვარე და მთვარეულები.

მიწაზედ არ გყავს მეცილე,
ცად გფარავს ანგელოზია,
ვარსკვლავი, შენი მეწყვილე,
ტრფიალა ასპიროზია.

თბილისელისთვის დედა ხარ,
მისი ვაზი და ბადაგი,
სტუმრისთვის ნეტარება ხარ,
სულის მკურნავი ქალაქი.

ყველა პლეადას მზე – ჰანგად,
აჩუქე თავის სამყარო,
ჩემს თაობასაც ფეშქაშად,
ეძღვენი, კოხტა ზღაპარო!

თბილისო, დედავ, ქალაქო,
ბევრნი დაზარდე ჩვილები,
ქვეყნად დაფანტე, ფარსაგო,
შენი ძუძუმტე შვილები.

სუყველას გულში თან დააქვს
ყრმობის ქალაქის სურათი,
კაფია გულისთქმადა აქვს
შენი სახება სულმნათი.

შენგან შორობა ძნელია,
მაგრამ ნუსხი გაქვს თილისმის,
იქ, სადაც თბილისელია,
ყველგან იქნება თბილისი.

ჰაეროვანი ჰანგი ხარ,
ლაჟვარდოვანი ბანგი ხარ,
და ჩემი სულის ვარდი ხარ,
თბილისო, ვაჰ რა კარგი ხარ!”

სილამაზის ტაძარს

სიყვარული მართავს

ზენაარის მეფემ ბრძანა,

იქმნეს სითბო და ციალი,

და აღმოცენდა ქვეყანა,

წიაღით აღმომჭვირვალი.

ხელმწიფეს ხელს ეწიფება

საქმენი დედაღვთიანი,

ხელჰქმნა დიადი ქმნილება,

სრულად – ყოფილი, სვიანი.

ძალით ძლიერით აღმართა,

სამყაროული აღნაგი,

ააშენა და გამართა,

მისი სვეტი და წახნაგი.

ქანდა – ვარაყით მოქარგა

საგანთა წიბო – წიბური,

ქობა ქარაგმით მოთარგა,

ნება – ქმნილება ღვთიური.

ამ ღვთისნეულმა წყალობამ
შექმნა ქვეყანა უბადლო,
გააბრწყინა მზის მნათობად
მიწის უკუნი უდაბნო.

ცის ქვეშეთში განასახლა
სამეფო სილამაზისა,
ღვთიური ნიჭი აახლა
სულისმიერი განცდისა.

ჩანაფიქრის პირობაზე
ერთმანეთს არ დააცილა,
და ხელქმნილი სილამაზე
სიყვარულით გააწყვილა.

ეს განცდადი, ქმედი ძალა,
მიწა–ზეცის კავშირს ბადებს,
სიკეთის შარაგზას კვალავს,
პირველმიზეზთან გვაზავებს.

ყოველი ჩვენი ქმედება
ამ ნიჭის ძალით იქმნება,

გონი ელავს და ბრძენდება,

უფლის ნათელში ინთქმება.

სიყვარული ფუძედ უძევს

მამულის და ძმობის აღქმას,

მშობლიურ ამაგში სუფევს,

სრულიად სამყაროს მართავს.

იგი გვჩუქნის გულის ნიაზს,

ახმოვანებს სულის ჰანგებს,

ქმნის სრულყოფილ ჰარმონიას,

სამყაროსთან გვამთლიანებს.

მისივე ნორჩი ნერგია

სატრფიალო სიყვარული,

საგალობო ელეგია,

საზეიმო სიხარული.

ეს ვედრების ფსალმუნია,

ზეციური შუქის კრთობა,

ანგელოზის ლამუნია,

იდუმალი ბანგით თრობა.

აი ასე, უფლის სიბრძნე,

ხელქმნის სილამაზის ტაძარს,

სადაც აზრი სითბოს იძენს,

სადაც სიყვარული მართავს.

მიჯნა მიჯნურობისა!

საღამოა, მზე ჩამოწვა,

დაისიცხა მთა და ველი,

აფეთქებულ ყვავილოვანს

სურნლი წვავს მათრობლი.

მიწაც იწვის და ვარვარებს,

ამ სურნელით არის მთვრალი,

ზარხოშს ანთებს და ამძაფრებს

დედამიწის ბირთვის ალი.

ზღვა–მდინარე ოხვრით არი,

ათუხთუხდა მწველი ცრემლით,

და კურცხალთა ოხშივარი

ცად აიჭრა ცეცხლის ეტლით.

მიწა ზეცას შეევედრა:

„ – ნახე, ვიწვი ტრფობის ალვით,

შენთან მწყურია შეხვედრა,

დავიდაგე ნდომის გვალვით“.

შეისმინა ცამ ღაღადი,

გზავნილება მიწის სხივთა,

იდუმალი ხვაშიადი

იდუმალად შეინივთა.

მზე უჩუმრად ჩაიმალა,

ღამე მთვარეს შეატოვა,

იმიჯნურეთ, დაიბარა,

მე დილამდე არ ამოვალ.

აკიაფდა ლურჯად მთვარე,

ცამ ნათება მიიზიდა,

მოინუსხა არემარე,

სურვილებად მიიბნიდა.

მთვარის ლურჯი ამფიონი

შუქს აკმევდა, ვით თრიაქი,

გაახელა სტიქიონი,

გაუგიჟა ფორიაქი.

ქარიშხალი ამოვარდა,

ჩამოხია ღრუბლის ფარდა,

ცას ხალიჩა გადახადა,

ვარსკვლავები მიმოფანტა.

და მერე კი ბობოქარი

დედამიწას შეუბრუნდა,

შეანჯღრია მთა და ბარი,

ბნელ ხევებში აგუგუნდა.

ცამ კამარა დაარწია,

ტრფობის მუხტი დააკვესა,

ელვას ჭექა დააწია,

ტკბობის ჰანგით ააკვნესა.

მუხტმა მეხი ააფეთქა,

ზენაარი აგრიალა,

ცეცხლის ცელით გზა გაკვეთა,

ტყე და ველი აბრიალა.

ჭექა ქუხს და ელვა ელავს,

კაბადონი იხლიჩება,

სტიქიონი მიწას თელავს,

გაშმაგებით ეუფლება.

მიწა გმინავს, ზეცა გრგვინავს,

გულდაგულად ეომება,

საალერსო გიჟმაჟ სიტყვას

მეხ–გრიგალით ეუბნება.

სანეტარო ბრძოლად იქცა

მიწა–ზეცის ფიცხი ომი,

კიდევ! – ჰკივის დედამიწა

ჰო! – გუგუნებს სტიქიონი.

მიწა იძრა, აძაგძაგდა,

ქერქი ცისკენ აიზიდა,

ზარ–ზუზუნით აზანზარდა

და სიამით აქვითინდა.

აქ ვულკანი, გიჟ–თავნება,

ამოიფრქვა ბირთვის წვენით,

ალიანი მხურვალება

ცას მიაწყდა ცეცხლის ენით.

ზენა ფიცხლივ შეახურა,
აფთარივით შეუვარდა,
ლავა ცარგვალს მოაპკურა,
სივრცე ფეხქვეშ შეუქანდა.

ზეცის ძარღვმაც გიჟ ღამეში
ღრუბლის ქისა გამოწურა,
სანეტარო წვიმა–თქეში
დედემიწას მოასხურა.
ეს ღვართქაფი და ქაფქაფი
ერთ მორევად დატრიალდა,
გადაისკვნა ორი ძაფი,
ერთ სხეულად გამთლიანდა.

ვაი, დედა! – ხმა გაისმა,
ტკბობის ელდამ ჩაჭრა ჟამი,
ზეცის კლიტე გადაიხსნა
და კარიბჭე გახსნა წამით.

წმინდა შუქით ამონათდა
ორთა სული დაბანგული,

იდუმალად გამოცხადდა
ნათლის სვეტი, დიდებული.

ამ ნათებით მონუსხულნი
ცა და მიწა ნეტარობდნენ,
ერთხანს იყვნენ ჩანასკვულნი
და მერე კი განმხოლოვდნენ.

ცა დადუმდა, ქარი ჩადგა,
ძილს მიეცა ორთავ მხარე,
და სიმშვიდის ჟამი დადგა,
გაირინდა არემარე.

ნადუღარი ნიაღვარი
წყაროებად დანაწილდა,
დაქანცული ქარიშხალი
გრილ ნიავად აბიბინდა.

და ეს ღამეც, ეს გიჟმაჟი,
მიილია, დროს ჩაბარდა,
მეწამული გარიჟრაჟი
ზეცის თაღზე აღაჟღაჟდა.

გამობწყინდა ცის ლაჟვარდი,

მზემ კისკასად გაიცინა,

ათასფერი შარავანდი

კაბადონზე გამოჰფინა.

და საუფლოც ჩაიბარა,

საოცარი სილამაზე,

იადონი ია–ვარდად

ჰანგს აფენდა იალაღზე.

მოიმღერდა: ”- რა შიგან ხარ,

მიჯნავ მიჯნურობისაო,

სულის ვარდო, შენ მიყვარხარ,

ლექსი გითხარ ტრფობისაო!”

ხილვად ვნახე უცხო ხილვა

მთვარემ ნარნარ სხივთა ვერცხლით

გაათეთრა არემარე,

და მეც,

ფიქრთა ცივი ცეცხლით,

ღამე თეთრად გავატარე.

დაღალულად ვჭვრეტდი სანთელს,

აზრი ფიქრით მოითენთა,

ჩურჩულით ვამბობდი სათქმელს,

ცვილი ცრემლად დაიღვენთა.

მინანქარის ლბილი ქარვა

ალის ლივლივს ირეკლავდა

და პატრუქის თბილი ალვა

მზერას ნუსხით იზიდავდა.

მეც,

ამ ნუსხით გარინდული,

ჩამოღვენთილ ცრემლებს ვთვლიდი,

ღრმა ფიქრებში ჩაძირული,

ოცნებაში გადავფრინდი.

უცებ...

თითქოს დენმა დამკრა!

ხილვად ვნახე უცხო ხილვა,
ცეცხლოვანმა ელვამ ჩამჭრა,

განმაორა,

განმაწყვილა.

ვითომ...

სხეული და სული,

ცალ–ცალ მხარედ განიკრიფნენ,

სჯა–კამათი ჰქონდათ სრული,

პაექრობით გაიფიცხნენ.

სხეულმა თქვა:

« - სტუმარი ხარ,

საპატიო,

ცით მოსული,

ჩემით ყოვლად მდიდარი ვარ,

რადა მყავხარ უცხო სული?

სმენა,

ხედვა,

ხორცის ტკბობა,

ხელთ მიპყრია ყველა ნება,

ნადიმობა,

ნებივრობა,

განცხრომა და ფუფუნება.

ჩემს გემოზე ვინავარდებ,

სხვა ამ ქვეყნად რა შემრჩება,

ჩემს საბუდარს რომ იკავებ,

ამით მე რა მომეთვლება?»

სული:

« – ბუდე შეგეცილე,

 რადგან იყო უფლის ნება,

მევალება,

ცით მეწყვილეს,

შენი განსულიერება.

მე ვარ ის, ვინც გეხმარება

შეხედო...

და დაინახო,

ამ სამყაროს ელვარება

ათასფერად აისახო.

ისმინო...

და გაიგონო,

ხმები ჰანგად ააჟღერო,

სილამაზე შთაიგონო,

გული განცდით ააძგერო».

სხეულმა თქვა:

« - ეს კარგია,

მომწონს ასე დახმარება,

მოსალხენად სავარგია,

ჩემს ჩანაფიქრს წაადგება.

ჰოდა ქეიფით,

ზარხოშით,

ჭია ერთად გავახაროთ,

ხორციელი ტკბობის ხოშით

ეს ცხოვრება გავატაროთ».

სულმა უთხრა:

« - ჩვენს ერთობას

მიზნად სხვა აქვს,

– ამაღლება,

დავამკვიდროთ წმინდა გრძნობა,

ცხოველისგან განსხვავება.

განცხრომის გზა,

ხორცის თრობა,

ცდუნების მახეა,

კრული,

სატყუარად უძევს ტკბობა,

ცოდვის ეშმა,

შეფარული.

ასეთ გზაზედ იკარგება

ზომიერის წმინდა ზღვარი,

იშრიტება მწველი გზნება,

ილიბრება გულამბარი.

ოცნებები გეფანტება,

არ წკრიალებს აღარ ქნარი,

წლები უქმად გეკარგება,

ცოცხალი ხარ,

ვითარც მკვდარი.

ცხოვრება კი,

წუთის ვანი,

ერთჯერადი ულუფაა,

ყველა წამი,

ცეცხლოვანი,

ჩუხჩუხა და თუხთუხაა».

ცით ნავარდი თუ არ სცადე,

სისხლის თრობა,

საფრთხის ბადე,

ტრფობა თუ არ განიცადე,

მაშინ რისთვის დაიბადე?»

სხეულმა თქვა:

« -მეჩვენება,

შენს თამაშში გინდა ჩამრთო,

ჩემი ტან–ხორცი გჭირდება

შენი ქმედება რომ მართო.

შენთვის სამშობლოა ზენა,

ჩემთვის, –

– უცხო ქვეყნის საფრთხე,

რად გავბედო ცაში ფრენა?

რად დავუგო ჩემს თავს მახე?

შენ სული ხარ,

ზეცის პეწი,

დრო წავა და გაფრინდები,

მე კი მიწა,

მისი ძერწი,

კვლავ წიაღში ჩავბრუნდები.

მაშ,

რაღად ავფრინდე ცაში,

რად ვეძიო ხვედრი რთული,

რად ვაჭენო ზეცის რაში,

მიჯობს მშვიდი დასასრული».

სულმა უთხრა:

« - ამ აზრებით,

პირველ რიგში ოჯახს ავნებ,

რადგან შიშის ბორკილს ნებით,

სახვალიოდ შვილს დაადებ.

თუ სიმხდალით განს დადგები,

სიბრძნეს გზას თუ დაუხუფავ,

თავად ალბათ გადარჩები,

მაგრამ ნაშიერს დაღუპავ».

« -სიბრძნე,

– პასუხობს სხეული, –

ტყვეობაა,

მძიმე ჯვარი,

მახვილია ორლესული,

სევდიანი სატკივარი.

ვინაც სიბრძნეს განადიდებს,

მის ნათელ კოცონს აალებს,

თავის ცოდნას კი ამდიდრებს,

მაგრამ დარდებსაც ამრავლებს.

ფიქრით თავს თუ არ აბრუებ,

ერიდები მის მარწუხებს,

ლაღობ,

ლხინობ,

მხიარულებ,

არა დარდი არ გაწუხებს.

სიყვარულიც,

განცდა უნჯი,

სენი არის მწველი ალით,

მოფრინდება,

ვით ფასკუნჯი,

გულს დაკორტნის ბასრი ბრჭყალით.

არა,

არ მსურს ეს წამება,

მხურვალებით გულის დნობა,

არცა სრული ნეტარება,

კმარობს ხორციელი ტკბობა.

სჯობს გადმოდი ჩემსკენ,

აქეთ,

ჩემი წესით ვითამაშოთ,

ფუფუნებით ერთად დავტკბეთ,

ვინადიმოთ,

ვიპარპაშოთ!»

სულმა ნათქვამი აღიქვა,

წუთიერად დაახანა...

გაიაზრა ყველა სიტყვა,

და მერე კი თქვა,

ვით ბრძანა:

« – ბნელში დადის უმეცარი,

ბრმაა,

ვისაც არ აქვს ცოდნა,

ჟინის მორჩილი მძევალი,

ხორცისელი ტკბობის მონა.

განცდის გარეშე ყვარება,

მჩატე თავის ქებათ–ქება,

არის სიძვის განდიდება

და სიბრიყვის აღზევება.

ჩვენი სახით მაღლა ღმერთმა,

ცა და მიწა შეაკონა,

სტიქიები შეაერთა,

ზნე–კანონი შეგვაგონა.

მიგვითითა გზა მართალი,

უზენაეს შეცნობისა,

შარა,

ზეცით აღმავალი,

ზნეობრივი სრულყოფისა.

მე რომ შენს გავლენას ავყვე

ღვთიურ სიწმინდეს განვთესავ,

მიჯობს,

დავიღუპო აქვე,

თუ სიკეთეს არ დავკვესავ.

ისიც ძალგვიძს, რომ ერთობა,

გავჭრათ,

ცალკე გვქონდეს ყოფა,

მაშინ...

წინ მოგველის მტრობა,

ერთმანეთის უარყოფა.

პირველობას არ ვიჩემებ,

შენს ადგილსაც ვაღიარებ,

ოღონდ,

თუკი დამიჯერებ,

ათასმაგად გაიხარებ.

აქ სხეული ჩაუფიქრდა,

სიტყვა ჭკუაში დაუჯდა,

ნათქვამს აღარ ჩაუჯინდა,

და...

წუთიერად დაუნჯდა.

მერე თქვა:

« – ჩვენი ერთობა

არის ქარიშხალის ქროლა,

ახლავს თავისი პირობა,

– დღენიადაგ შიდა ბრძოლა.

ჩვენი კვანძი,

იდუმალი,

უფლის ჩანაფიქრს განავრცობს,

ჩვენ ვართ მისი ცეცხლი–წყალი,

ეს აალებს,

ის კი აქრობს.

ეს შემხვედრი გეზით სვლაა,

ერთი ენის გამონახვა,

ხანგრძლივი და რთული გზაა,

შინაგანი გარდასახვა.

ასე გეტყვი:

მეც მომხრე ვარ,

ახალ გზათა გაგნებისა,

თუმც კი,

ძველ ჩვევათა ტყვე ვარ,

მორგებული თარგებისა.

არჩევანი თუ მექნება,

მაინც არ ვცდი ცაში შესვლას,

დრო თანდათან დაუდგება

ჩვეულ საქციელთა შეცვლას».

სულმა უთხრა:

« – ძალა ხმიე!

ჯადოთქმნილი წრე გახლიჩე,

ჩვევის წყობა დაამსხვრიე,

გაბედე!

გადააბიჯე!

დაბერავს სიონის სიო

წმინდა კვამლად აღმავალი,

და შესძლებ რომ მოიძიო,

განახლების გზა–სავალი».

აი, ასე კამათობდა

შუაღამეს ორი მხარე,

და არცერთი არა თმობდა,

დაიზაფრა არემარე.

შემოთენდა,

ზეცის აფრა,

ამონათდა,

ვით ზურმუხტი,

გაორების ხილვა გაქრა,

მაგრამ...

კვლავ ფეთქავდა მუხტი.

გამოვფხიზლდი,

ორთავ ლანდი,

ერთხანს კიდევ თანამხლებდა,

მერე...

ისევ გავერთმაგდი,

ოღონდ განცდა არ განელდა.

მოკამათე ორი ძალა,

უცხო ხილვის შიგნით ჩარჩა,

თუ რომელმა გადაძალა,

ჩემთვის შეუცნობი დარჩა.

და სანთელიც,

თითქოს გრძნობდა,

თითქოს ფიქრებს ყურადობდა,

მონაწილედ თანაგრძნობდა,

და...

ჩუმ ლივლივს განაგრძობდა.

ჩარგალი

კავკასიიის ფშავთა მთაზე
ცად აზიდულა ჩარგალი,
ვაჟკაცური სილამაზე,
ზეცისმიერი ნაკრძალი.

აქ,
სადაც მიწა ცას ხვდება,
ოდით მადლის ხე დარგულა,
მას ახარებს,
ეფერება,
ცელქი მდინარე ჩარგულა.

მეც აქ ვარ,
აი ჩარგალი,
ძერა–არწივის საუფლო,
მისი პირქუში ცარგვალი,
მისი გრძნეული საწუთრო.

მთების გრილი ქარ–ნიავი
ლეგა ღრუბლებს ერეკება,
იმათ შიგნით მზის ციალი

ოქროს სხივებად მოკრთება.

ვსუნთქავ ამ მთების ფილტვებით,

მათი სიგრილით ვგრილდები,

ფარფარებენ არწივები,

მათი ძალ–ღონით ვივსები.

თვალი მოვავლე გარემოს,

გაშლილ მთა–ველს,

გრეხილ ხევებს,

ნეტავ ამ ნეტარ სამეფოს

რა სიმღერა დაამღერებს.

მზერას იტაცებს ალაგი,

სადაც ხევი ხევს ეყრება,

თეთრი და შავი არაგვი

ჩუხჩუხით ერთიანდება.

პირველი პატარძლის კაბით,

მეორე შავთანა ჩოხით,

ესა, – თოვლისფერ ქათქათით,

ისა, – შლეგი შავლეგობით.

რაღაც იდუმალ თილისმად

თავის ფერს არცერთი არ თმობს,

და ველზე შავ–თეთრ გვირისტად

ორფერი არაგვი მარდობს.

ეს დიდებული სურათი,

ბუნების სიბრძნით შექმნილი,

ზმანება არის სულმნათი,

ჯადოსარკით მოძებნილი.

ჩუმი სიხარულის განცდა

სულის ფსკერზე ირეკლება,

გული ღელავს,

არ აქვს დაცდა,

სუნთქვა სიამით იკვრება.

ვერც ძალა,

ვერც გულოვნება,

ვერც ოქროთი გამდიდრება,

ვერცა ტრფობით ფრთოვანება,

ამ გრძნობას ვერ შეედრება.

დაიბერა ყელში ბურთი,

ღმერთო ჩემო,

ეს რა ხდება,

აქ განცდილი ერთი წუთი

მთელ სიცოცხლეს ეფარდება!

საწუთრო გახდა საწუთო,

ერთი ხილვით იფარგლება,

და ამ წუთში საუკუნო

საიდუმლო იმალება.

აი, თურმე სადა ბუდობს

გულის ფანცქალის სათავე,

მისი რეჩხი სად სადგურობს,

სად აქვს გრძნეული სადავე.

მართლის ჩანჩქერი ვარდება,

ჭეშმარიტი წუთი დგება,

მარად მწველი უკმარობა

ამ სანახავით ივსება.

თითქოს ვიქეც შემოქმედად,

უკვდავების გზა გავკაფე,

ქმედი სულის დარწყულებად

ვაჟას წყაროს დავეწაფე.

სუნთქვავ გთხოვ,

ნუ შემეკვრები,

გულო,

ნუ ამიჩუყდები,

განცდავ,

ღრმად ნუ განმეცდები,

თორემ ვშიშობ,

აღვსრულდები!

არსი არსებისა

ფიქრი ღრუბლად აიშალა,

მოიძია აზრი მართი,

მერე...

ნისლად ჩაიშალა,

დამიტოვა მშრალი ნაშთი.

ექოდ მომწვდა შორეული

ხმების მჭევრი მეტყველება,

შემომესმა,

ორეული,

შორეთიდან მეკითხება:

« - შენ,

მიწიერ ქანდაკებას,

ზეცამ რომ შთაგბერა სული,

არა ცდილობ მის გაგებას,

რად მოხდა ეს სასწაული?“

მეც დავფიქრდი,

ვინ ვარ,

რად ვარ,

ჩავეძიე გამოცანას,

იერსახით ვისა ვგავარ,

რად მოვევლინე ქვეყანას?

- ვინ ვარ?

– კითხვაა მაშვრალი,

მას ვერ სწვდება აზრის თვალი,

ვერცა მსჯელობა მრავალი,

სიტყვა,

ურიცხვოდ სათვალი.

აზრი გზას იკვალავს განსჯით,

მაგრამ ამ გზას მიჯნა უძევს,

ეს კითხვა კი სხვაა არსით,

კენწეროთი ზეცას უწევს.

ღმერთის ნებას უშობია

ზეცა–მიწის შეკონება,

ღვთის საქმენი უწვდომია,

ვერ განსჭვრიტავს მათ გონება.

სადაც გონი პასუხს ეძებს

და ძიებით ჩიხში ხვდება,

მართლის დედაგულს,

მის ფესვებს,

გული უშუალოდ წვდება.

ჰო-და,

მასთან უძლურია,

განსჯა სრული,

რაგინდ დიდი,

გული – უფლის კუნძულია,

ზეცასთან აქვს თავის ხიდი.

მეც ჩემს გულისთქმას მოვუსმენ,

იგი ღვთიურ ხმას აღმიდგენს,

ზეციურ ალღოს მოუვლენს,

და,

კითხვის პასუხს დამიდგენს.

მაშ, ვინა ვარ მე?

– სულდგმული,

მიწა–ზეცის კვანძი რთული,

სხეულებრივ გარსში სხმული,

ღვთის ხიზანი ზეციური.

რად ვარ?

– ვიტყვი**!**

არ ვჩივივარ,

რომ წიაღში ჩავბრუნდები,

მუდმივობის ნაწილი ვარ,

მივდივარ,

და მაინც ვრჩები.

თაობებს ვედები ხიდად,

ნაშიერში კვლავაც ვჩნდები,

და ამ გამრავლების წილად

სულით,

ხორცით ვლამაზდები.

სილამაზე – მარადია,

პირობად აქვს განახლება,

ის – სამყაროს აღნაგია,

და,

სინორჩის თანახლება.

სილამაზე – სამეფოა,

მას განაგებს ზეცის მეფე,

სილამაზე – საბედოა,

ყველა არის მისი მეტრფე.

ჰო-და,

იმის მუდმივ ბრწყინვას,

დღენიადაგ განახლებას,

ზებუნება მსხვერპლად სწირავს

ჩემს თავსა და პიროვნებას.

ამ მწუხარე მსხვერპლის ფასად

გზა–გზა ვემსგავსებით ჩვენა

მას!

ვინც წმინდა სახის მსგავსად,

ხატად თვისად აგვაშენა.

ოცნება

როგორ მინდა გულის თვალით
დროს გავხედო,
შევკრა სივრცე,
სულიერი გრძნების ძალით
ტრფიალების ტალღად ვიქცე.

განვიცადო ცით ნავარდი,
კაბადონის ელვარება,
ზეცის უძირო ლაჟვარდი
და ჰაერის მჭვირვალება.

ვიწილადო მზის მზეობა,
მთვარის ლურჯი მთოვარება,
ტალღის ქოჩრით სეირნობა,
აღმოჩენით ფრთოვანება.

კამათელის ტრიალ–ტრიალს
გულის რეჩხი ავაყოლო,
აბრუნებულს,
ოხერ–ტიალს,
შეკივლება დავაყოლო.

რომც წავაგო,

არ ვიდარდო,

რაა მოგება–წაგება,

მაგიერად განვიცადო,

სისხლის თრობა,

აღზევება.

მსურს კალმახის კუნთს ვკუთვნობდე,

ჩანჩქერს აღმა ავდიოდე,

გულში ჩამწვდომ ჰანგს ვგალობდე,

სულის ფსკერზედ ჩავდიოდე.

საამურ ნიავად ვქროდე,

უძირო საფულეს ვფლობდე,

ოქროს გულუხვად ვწყალობდე,

ღვთის ხურჯინით დავდიოდე.

ორი ქვეყნის ერთი შვილი

იერუსალიმის ლექსით

საქართველოს ვესალმები,

შორეთიდან,

ძველი ფესვით,

ყრმობის ალაგს ველალები.

ჩემთვის წმინდა სიმბოლოა,

კვანძი ისრაელ–ქართული,

ერთი ჩემი სამშობლოა,

მეორე - ტკბილი მამული.

ორივემ მაჩუქა გზნება,

ზნესაყრდენი, თბილი გრძნობა,

ვაჟკაცური შემართება,

გონებრივი მოქნილობა.

ერთგან ჩემი სხეულია,

მეორეგან - ჩემი სული,

მაგრამ თუ სად რომელია,

პასუხი არა მაქვს სრული.

ქართველებმა შეიკედლეს

ხალხი,

შორიდან მოსული,

მეგობრობით დაამშვენეს

ოცდახუთი ასწლეული.

ეს ერთობა,

არნახული,

თაობებში აღიწერა,

ხალხის გულში,

ამბად თქმული,

ოქროს კალმით ჩაიწერა.

მყარი ძაფი,

უხილავი,

ორმხრივ კვანძავს ერთგულებას,

ერთადერთი ნათესავი

ქართველებს აქ ეგულებათ.

სამყაროს აღთქმათა ველი

მსგავსი აქვს ორივე ეთნოსს,

თვითონ დიდი რუსთაველი

ბრძენად რაცხდა მოსე ეზროსს.

ქართველებმა თავგანწირვით
სამშობლო გადაარჩინეს,
დიდ–დიდ მეზობელთა შიგნით
ნემსის ყუნწში გააძვრინეს.

ისრაელმაც ნებით შესძლო
სასწაული მოეხდინა,
ორი ათასი წლის შემდგომ
სახელმწიფო აღედგინა.

გაიმარჯვეს!
მაგრამ მტერი,
არ ცხრება,
ერთ ამბავშია,
და ისევ ორივე ერი
ყვავ–ყორანთა ალყაშია.

ამიტომ ერთ ნავში ყოფნა
თითქოს ბედმა განუსაზღვრა,
უწერიათ ეშმას ჯობნა
და ზურგქარით სავსე აფრა.

დუშმანებს და უკეთურებს

თავზედ არ გააცინებენ,

ბევრნი უკვე გაისტუმრეს,

ამათაც გააცილებენ.

დრო გადავა,

მატიანე,

დატოვებს თავის ჩანაწერს,

ამ ერთობას,

მარადმწვანეს,

თაობებში განაახლებს.

მართლაც რომ მქონია ბედი,

მშობლები მარგუნა ტკბილი,

რა მდიდარი გამოვედი,

ორი ქვეყნის ერთი შვილი.

ერთი რამ კი გულად მაწევს,

ფიქრი ამით გართულია,

შვილთაშვილებს მსურს გადავცე

ის,

რაც ჩემში ქართულია.

საჯე მსაჯულო, განსაჯე!

შუაღამის ჟამი დადგა,

რაღაც ბურანმა მომიცვა,

ავი ხილვა დამელანდა,

გული განგაშმა მოიცვა.

თითქოს სახლში,

სადაც მე ვარ,

ვიღაც უცხო იმყოფება,

მისი რისხვის სამიზნე ვარ,

სიბნელეში მეპარება.

ელვად დამეცა თავზარი,

მხნეობის ძალამ მიმუხთლა,

ზარვის ზარი შესაზარი,

არსებაში დამეუფლა.

დავიძაბე,

ჩემს თავს ვძლიე,

სული კბილით მოვიზიდე,

საბოლოო ძალა ვხმიე,

სახლს საჩქაროდ გავერიდე.

მდევარი კვალში ჩამიდგა,

ხანჯალი უბრწყინავს ხელში,

გზაზე უფსკრული დამიდგა,

გადავეშვი მის ქვესკნელში.

ცივი, შავბნელი წიაღით,

აღსასრულისკენ მივქროდი,

ვლოცულობდი ფორიაქით,

ღმერთთან შეხვედრას ველოდი.

უცებ...

რაღაც საოცრებად,

ვარდნამ სიჩქარე იცვალა,

და უსწრაფესი დაშვება,

ნარნარი სვლით შეიცვალა.

უხილავი მაშხალებით

შავი წყვდიადი განათდა,

და გამოჩნდა,

რომ ჩემს გვერდით,

ანგელოზი დაფრინავდა.

გამოხედვა იმის თვალთა

გულს ჩაციებით ბურღავდა,

მითხრა:

„ –შენ შეჩერდი, რათა,

უფალთან შეხვედრა გწადდა.

მე გამანდე, რაცა გნებავს,

იგი ჩემში აირეკლა,

მისი სიტყვა,

მისი ნება,

მე გახლავარ აქ და ეხლა.“

„ – მადლობთ!

ბევრი რამ მაწუხებს,

გთხოვ და პასუხი გამეცი,

თორემ ხილვათა მარწუხებს

ვერასგზით ვერ გავექეცი.

ვინაა,

რომ მუდამ დამდევს

და სიკვდილით მემუქრება,

გზას და გასაქანს არ მაძლევს,

უჩინ სარჩელს მემართლება?“

„ – ცოდვანია ესე შენი,

მდევრის სახით წარდგენილი,

ძველი,

აუგი საქმენი,

მრავალჯერად ჩადენილი“.

„ – სიტყვა შენი გავიკვირვე,

მძიმე ცოდვა მე არ მადევს,

უცოდველი არის ვინმე?

რაც სუყველას, მეც ის მაწევს.“

„ – მაშ,

მხოლოდ ისაა ცოდვა,

რაიც კანონით ისჯება?

ძარცვა–გლეჯვა,

ხალხის ხოცვა,

და სხვა ამგვარი ქმედება?“

„ – ჰო!

მე ასე მიმაჩნია,

ამასა აქვს ხალხის გმობა,

მე რა ცოდვა გამაჩნია,

იქნებ მითხრა?“

„ – გულგრილობა!

თუ ნაძარცვი, ან მოკლული

ასია და ათასია,

გულგრილობით დაღუპული

ასჯერ ასი ათასია.

რა ხანია გავიწყდება

დიადი მეუფის ნება,

რომ ათიდან ხუთი მცნება,

სულის მიერ მას ეძღვნება.

თუ ზნე–კანონს სულს გააცლი,

და სიტყვასთან დააცილებ,

არსს,

საფუძველს გამოაცლი,

ფასეულად დააკნინებ.

ეს ნათქვამი შენ გეხება,

ვინც ხედავს და თვალს არიდებს,

ესმის და არ ეყურება,

საგულეში ყინულს იდებს.

თუ ვიღაც შიმშილით კვდება,

თუკი ვინმე იყინება,

ანდა წამალი ჭირდება,

ანკი ხელის გაწოდება;

ან სიმართლის მოპოვება,

ანთუ გულის გამაგრება,

და შემძლე არ ეხმარება,

რა ეკუთვნის?“„

„ – მართლისგება!“

„ – ამდაგვარი მკრეხელობა

სასტიკია თავის არსით,

ჩუმი,

ფარული მკვლელობა,

უხილავი იარაღით.

ბევრი მსგავსი შეცოდება

შენც ნაკვალევად მოგყვება,

ჯალათს ამად ევალება

სამართალის აღსრულება.“

„ – ღმერთო,

გთხოვ არ მიმატოვო,

ჩემი სულის წარსაწყმედად,

და ჯალათთან არ დამტოვო,

წამებად და წარსადგენად!“

„ – ეხლა გაგახსენდა ღმერთი?

მას ხომ თვითონ შეუბრუნდი,

გააბნიე რწმენის დენთი,

ცოდვის მორევში შეცურდი.

ზეცამ კიდეც რომ შეგინდოს,

არ ქრება მავნე საქმენი,

მათგან უნდა განიწმინდო,

დაიბრუნო ზნესაყრდენი.

კვლავ რომ ჰპოვო თავი შენი,

ცოდვის სიმძიმე შეიგნე,

მოიძიე განაჩენი,

სინანულის გზა შეიცნე.

ღმერთმა თავისი ნაწილი

ადამიანს დაამგზავრა,

ს ი ნ დ ი ს ა დ რქვა ეს გზავნილი

და მსაჯულად განუსაზღვრა.“

„ – მაშ, მე რა ვქნა,

ღვთის დესპანო,

მირჩიე და მაზიარე,

იქნებ დამაკვალიანო?“

„ – გეტყვი!

გულის გზით იარე!

უქმნელზე უარს ნუ იტყვი,

ალაგებდე მადლის აგურს,

და იპოვი გულის სიტყვით,

რთული კითხვის მარტივ პასუხს.“

ამით დამშორდა.

რაც ბრძანა,

ყველაფერი ისე ვქმენი,

და გამეხსნა სხვა ქვეყანა,

სხვა სულიერი საყრდენი.

გამოვფხიზლდი,

ვერ გავიგე,

ძილად ვიყავი თუ ცხადად,

მახსოვს კი,

არსთა გამრიგე,

იქ სუფევდა ნათელ დარად.

ეხლაც, აქაც, ის თან მახლავს,

შინა სამყაროს ანათებს,

მეამბოხე სულს განკარგავს,

მგრძნობიარე გულს განაგებს.

მეც გულის გზით გავემართე,

ვეძიე მართლის სიმართლე,

წმინდა ბჭეს,

– სინდისს მივმართე,

ჩემს შინაგან მოსამართლეს:

„ – მე შეღავათს არ მოგკითხავ,

მსურს სპეტაკად განვიწმინდო,

რა განაჩენსაც მომიზღავ,

მზადა ვარ ის ჯვარი ვზიდო.

საჯე მსაჯულო, განმსაჯე,

მსჯავრი დამადე ჯამბარად,

მსჯელობის ჯერით დამსაჯე,

კანონის ჯადო–ჯავარად!“

ანდროგინა

მითი ბრძანებს, წარსულ ჟამში,

არსებობდნენ ზეციურად

ქალ–ვაჟნი ერთიან გარსში,

ერთ წნულად და ერთ სხეულად.

ცხოვრობდნენ ოლიმპოს მთაზე,

სადაც ღმერთნი ფლობენ ბინას,

ჰქონდათ უცხო სილამაზე,

უწოდებდნენ ანდროგინას.

თავის ძალით და მშვენებით,

სრულყოფამდე ადიოდნენ,

და მუდმივი ტრფიალებით

უსწრაფესად მრავლდებოდნენ.

ამან შეაშფოთა ზევსი,

მეხთმპყრობელი ცათა შინა,

მეხი, ქარ–ცეცხლით ნაკვესი,

ანდროგინებს დაუშინა.

შეჰქმნა სასტიკი თარეში,

ყველა შუაზედ გახლიჩა,

ქვეყნის სხვადასხვა მხარეში,

მოაბნია, ვითარც ქვიშა.

მას შემდეგ ეს ნაწილები,

მყისად ერთმანეთს ეძებენ,

სურთ აღადგინონ წყვილები,

წარსულ განცდებს იხსენებენ.

დანაწილდნენ ვაჟად, ქალად,

შეხვედრაზე ოცნებობენ,

სიზმარებში ხვდებიან ხანად,

გულითადად საუბრობენ:

„– ეხლა ვართ სხვადასხვა მხარეს,

მთლიანის ორი წილადი,

მაგრამ ვნატრობთ, ისევ აღსდგეს,

ძველი არსება წყვილადი.

ჩვენი მუდმივი ძიება,

მოლოდინის მწველი გრძნობა,

არის სევდის თანახლება,

მარტოობის უკმარობა.

თუ ვინ ბედნიერი ჰპოვებს,

თავის დაკარგულ ნახევარს,

განიახლებს უტკბეს გრძნობებს,

ანდროგინას ტრფიალებას.“

„ – ამდენი წყალი წარვიდა,

ჩამოეშვა წარსულს ფარდა,

ის რაც იყო, იყო წმინდა,

მაგრამ ეხლა დროს ჩაბარდა.

ერთ გარსში ვეღარ ვიქნებით,

დავნაწილდით ორ სხეულად,

ვმოგზაურობთ ცალკე გზებით,

ეულად და მარტოსულად.

განშორება მოხდა სრული,

განგებამ ასე ინება,

ეხლა გვაშორებს უფსკრული,

ის აღარ ამოივსება.“

„ – მაგრამ სიყვარული რჩება,

და ლეგენდა კვლავ გრძელდება,

ვიღაც გზნებით ეუფლება,

ვიღაც სიამით ნებდება.

და გიჟმაჟობს ტრფობის ქარი,

ორ საწყისად მონიშნული,

ვაჟი – გამჭოლი ისარი,

ქალი – მშვილდი მოზიდული.

დროდადრო გამთლიანებით,

სატრფიალო ტკბობის შინა,

თუნდ ხანმოკლედ, მაგრამ გრძნებით,

კვლავ ცოცხლდება ანდროგინა.“

ისე, როგორც ღმერთმა ბრძანა

“რატომ?“

გადახვეწილ ებრაელეთა
ბედ–იღბალზე ბევრი ითქვა,
მათ თავის მამულზე ღმერთთან,
ჰქონდათ უმთავრესი კითხვა:

– ეს რძისა და თაფლის მიწა,
თუ საკუთრებად უჩინა,
თუკი დაპირდა და მისცა,
რატომ აღარ შეარჩინა?

მარტივ პასუხს ამ შეკითხვას
ვერასგზით ვერ მოუნახავ,
აზრები მრავლი ითქვა,
მაგრამ ერთნაირს ვერ ნახავ.

აზრი პირველი – სასჯელი

მიწას მარადს ფლობს უფალი,

მისია და არ სხვისდება,

რადგან ხალხი,

– წარმავალი,

მუმივს ვერ დაეუფლება.

გამჩენმა ეს წმინდა მიწა

ხალხს არ აჩუქა,

– აღუთქვა,

მხოლოდ საცხოვრებლად მისცა,

ზედ პირობები დაუთქვა.

და ხალხი,

მისგან რჩეული,

დაეთანხმა უფლის ნებას,

მაგრამ შემდეგ,

უმადური,

არღვევდა ამ შეთანხმებას.

ამიტომ წმინდა წყალობა

ღმერთმა ცოდვილ ხალხს აართვა,

აჰყარა მისი სახლობა

და ეს მიწა ჩამოართვა.

თანაც იმად,

რომ პირობა,

მრავალჯერად დაარღვია,

მიუსაჯა მარტვილობა,

დუნიაზე გააბნია.

აზრი მეორე – საპატიო დავალება

უფალმა რჩეული ხალხი

თავის წიგნით გაამდიდრა,

გამოაბა სიბრძნის მარხილს,

ქვეყანაზე განადიდა.

დააკისრა დავალება

თავის მიწით აიყარონ,

ღვთიური წიგნის დიდება

სივრცეებში გაიტანონ.

მისგან მომჭვირვალი სიბრძნე

მთელ ცისქვეშეთში განავრცონ,

მისი ნუსხი,

მისი სიღრმე,

ყველა ქვეყნის ხალხებს ამცნონ.

და მათ ეს გზა გაიარეს,

ურთულესი გზა გოლგოთის,

თავის თავზე გამოსცადეს:

– სიბრძნე ტანჯვის ჭიშკრით მოდის!

აზრი მესამე – გამოცდა

სახელმწიფო ისრაელთა

ათას წელზედ მეტ ხანს იდგა,

ლოცულობდა თავის ღმერთთან,

მისი ტაძარი დაიდგა.

წმინდა წიგნის შთაგონებით

გაერთიანდა,

განმტკიცდა,

თავის ძალით,

თავის რწმენით,

უმძლავრეს ერად დამკვიდრდა.

მაგრამ ყველაფერს აქვს ვადა

და დრო მასაც დაეწია,

სხვადასხვა ჟამს მოუვარდა

სამი დიდი იმპერია.

ჟამმა სიმწარე დაკვესა,

წმინდა მიწა დაიკარგა,

ხალხი ქვეყნად განითესა,

გამოცდის დროება დადგა.

თორმეტიდან ათი მუხლი

უგზოუკვლოდ დაიფერფლა,

მაგრამ ერის მტკიცე სული

ამ გამოცდით აირეკლა.

და იგი დარჩა მთლიანი,

შეკრული დიადი წიგნით,

რადგან ხალხი ერთიანი

არის რწმენით,

არა მიწით.

აზრი მეოთხე – ერის გადარჩენა

სამიზნეა ერი, როცა

სამეფოთი იფარგლება,

მტერმა თუკი ამოხოცა,

მისი ძირი იკარგება.

ღმერთმა ბრძანა: „ – ჩემი ხალხი,

მტრის სამიზნე რომ არ იქნეს,

და იოლად მოსანახი,

– იგი უნდა დანაწილდეს!

არ დაეკარგებათ გვარი,

ნაბრძმედია მათი სული,

– ზნე–კანონთა მიმდევარი,

თავისი წიგნით შეკრული.

წმინდა მიწა ბედკრულ დროში,

დროით დათმონ,

დაიქსაქსონ,

უშველებელ სამყაროში

მიუწვდომლად ჩაიკარგონ.

განთესილებს კუნძულებად,

ჰქონდეთ მუდმივი კავშირი,

განვითარდნენ შემოქმედად,

ამრავლონ თავისი ძირი.

ასე შორად ახლობელნი,

თავის გვარს გადაარჩენენ,

რადგან დრონი ულმობელნი,

დოლაბით ყოველს ამსხვრევენ.“

აზრი მეხუთე – მისტიკა

სამყაროს შიდა მოვლენებს

თავისი სვლა აქვთ ფარული,

მათ იდუმალ,

უჩინ ფესვებს,

ბედთან ერთობა,

გრძნეული.

ღმერთის,

მისი რჩეულ ხალხის,

და მათ წმინდა მიწას შორის,

დაზიანდა შიდა არხი,

კავშირი დაირღვა სწორი.

ამას მოჰყვა საშინელი

სამყაროული მოვლენა,

ამ სამეულის დამშლელი

ავბედითი გამოვლენა.

ყველაფერი გადაბრუნდა,
სახელმწიფო ფერფლად იქცა,
ღვთის ტაძარი განადგურდა,
დაიკარგა წმინდა მიწა.

და ეს კვლავ რომ გამოსწორდეს,
სამებამ იბრუნოს პირი,
უნდა აღდგეს და გაცოცხლდეს
მათ შორის სწორი კავშირი.

ბოლოსიტყვაობა

თუმც ხალხი გონით ბევრს ხვდება,
აზრებს გამოთქვავს სხვადასხვას,
უფლის სიბრძნეს ვერ ჩაწვდება,
მის ჩანაფიქს ვერ განსაზღვრავს.

ებრაელთა ბედ–იღბალი
არის ხორცშესხმული მითი,
მათი რთული გზა–სავალი
ბედის ბრუნვის მაგალითი.

მათ ოცდათხუთმეტ ასწლეულს,

გამჭოლ ხანჯალად გაუარეს,

მოჰყვებოდნენ გზათა ხვეულს,

ხვედრის წრეები მორკალეს.

გრძელ მარათონს მოუძღოდა

ღვთიური წიგნის ნათელი,

მისი სიბრძნე მოსჭვივოდა,

მისი ბრწყინავდა სანთელი.

ასირია,

ბაბილონი,

რომაელთა იმპერია,

სუყველამ მოჭამა დრონი,

წარსულის მტვერს შეერია.

ისრაელი კი კვლავ აღსდგა,

კვლავ აღორძინდა ქვეყანა,

და თავის მიწაზედ დადგა,

ისე,

როგორც ღმერთმა ბრძანა!

HOMO MORALIS !

უფალმა ხელჰქმნა მდიდარი
ადამიანი ქებული,
უბოძა სჯულის ფიცარი,
მასზედ მცნებათა კრებული.

მცნება ათია, ანაბრად,
ხუთი ღვთის, ხუთი კაცისა,
უთხრა:
– „იცხოვრებ თანაბრად
კანონთა მიწის და ცისა“.

წმინდა იერის ასახვით,
სახედ და სულად თავისად,
მან გამოძერწა ამაგით
მოდგმა ადამის გვარისა.

მამა–მამაცი აჩინა,
დია–დიაცი, დედაო,
უთხრა:
– „მე ვარ ცათა შინა,
თქვენ მსგავსნი, ქვეყნის ზედაო“.

არა ჰყო მათ უკვდავება,
შემოუფარგლა დროება,
უთვლელი ჟამით დანერგა
მხოლოდღა ამაოება.

ყოველი არის ამაო,
ყოფილი, იგივ ყოფადი,
ქმნადი, კვლავაც ქმნულადაო,
ახალი არ არს პოვნადი.

ასეა ქვეყნის რაობა,

მუდმივი ამაოება,
თუნდ ახალია თაობა,
თარგით ძველია ცხოვრება.

ამ თარგის გზა და სავალი,
უკვე განვლილი, ნაცადი,
ახლისთვის არის ახალი,
ნამყო, თავიდან განცდადი.

და როცა ახალ თაობებს
სურთ დარწყულება განცდისა,
ესმიან ღვთიურ წყაროებს
სულისმიერი აღქმისა.

ესე წრებრუნვა მარადი
არის კანონი ყოფისა,
ღვთისკენ სავალი აღმართი
ზნეობრივი სრულყოფისა.

ამაოს განმეორებით
უფლის ჩანაფიქრი კრთება,
ზეაღსავალი სწორებით
კაცი დედანს ემსგავსება.

ამგვარი სრულად ქმნილობა,
ბრწყინვა შინაგან სხივისა,
საწინდარია,
პირობა,
სამყაროს ჰარმონიისა.

გზები

თავისი აქვს ყოფას ახსნა,

წრედ ბრუნავენ მისი გზები,

მომავალი თუ გსურს გახსნა

წარსულს სთხოვე გასაღები.

ებრაელი ხალხის ბედი

ამას თვალნათლივ გვანახებს,

მისი ტალ–კვესის აბედი

ძველი წინწკალით ანათებს.

აღთქმული მიწა დაკარგეს,

განიკრიფა ქვეყნად ერი,

თითქოს მორჩა,

იზიარეს,

სხვა ხალხების მწარე ხვედრი.

მოელოდათ განტევება,

დროით შთანთქმა,

კვდომის სევდა,

მაგრამ...

თურმე მათ განგება,

სხვა მომავალს უმზადებდა.

დანაწილდნენ და განსახლდნენ,
ღვთის წიგნით შეკრულ ჯგუფებად,
ქვეყნის ზღვაში გაიფანტნენ
მიმობნეულ კუნძულებად.

თითქოს არც დაშორდნენ ერთურთს,
მისვლა–მოსვლა ჰქონდათ ხშირი,
არ დაკარგულა არც ერთ წუთს
მათ შორის ქმედი კავშირი.

ერთმანეთთან გზა–სავალი
შორით ბევრი გადათელეს,
აღმოსავალ–დასავალი
მხარეები გაამთელეს.

ყველა ხალხთა წეს–ადათი,
ცოდნა ბრძნული,
თუ რამ ჰქონდათ,
ვით ძვირფასი ამანათი,
თავის გზებზე გადაჰქონდათ.
ამ მუდმივი მოძრაობით

ქვეყანა მოზომეს სრული,

შეიცნეს მრავალი გზობით

მისი კუთხე და კუნჭული.

წარმოიქმნა გზათა ქსელით

სახელმწიფო უხილავი,

თვალუწვდენი სივრცეებით,

სიდიადით – მომხიბლავი.

ამ სამეფოს უვრცეს ზურგზე

ხვეულ ქსელად ჩანდნენ გზები,

ქვეყნის გოლიათ სხეულზე,

გაბნეული სისხლძარღვები.

ერიც ფიცხლივ მოძრაობდა,

ვით სისხლი,

ძარღვში მჩქეფარე,

ყველგან,

სადაც მიდიოდა,

დუღდა ცხოვრება მგზნებარე.

წარმოჩინდა მთელ ქვეყანად

მისი ქმედება ნაქები,

ესპანეთის ოქროს ხანა,

დიდ–ვეზირნი, პოეტები.

ხალიფატის ებრაელთა

აკადემიის სკოლები,

საუკუნეთა ლეგენდა,

– ბაბილონის გაონები.

პირველობდნენ ქვეყანაზე,

უდგნენ სიახლის სათავეს,

აბრეშუმის დიად გზაზე

სამეურნეო სადავეს.

და სხვაც უამრავი შექმნეს,

საქმე სასახელოდ თქმული,

შეავსეს და გააელვეს

ქვეყნიური საგანძური.

დღესაც ასეა,

ეს ხალხი,

გზებს ეტანება უკვკალავს,

მარჯვეს წყალობს ბედის ჩარხი,

მწვერვალს ფეხს პირველი ადგამს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნატვრა;

ჩემი თაობის ზღაპარო;

სილამაზის ტაძარს სიყვარული მართავს;

მიჯნა მიჯნურობისა;

ხილვად ვნახე უცხო ხილვა;

ჩარგალი;

არსი არსებისა;

ოცნება;

ორი ქვეყნის ერთი შვილი;

საჯე მსაჯულო, განსაჯე!

ანდროგონია;

ისე, როგორც ღმერთმა ბრძანა;

HOMO MORALIS!

გზები.